



რენტგენოლოგიის დეპარტამენტი



პროფესორი ოთარ ურუბაძე
დეპარტამენტის ხელმძღვანელი



ასოცირებული პროფესორი გრიგოლ ნემსაძე



ასისტენტ-პროფესორი თეიმურაზ გოლეტიანი



ასისტენტ-პროფესორი რუსუდან ხარაძე



რენტგენოლოგიის დეპარტამენტი



რადიოლოგიის მიმართულების საფუძველია სხივური დიაგნოსტიკისა და სხივური თერაპიის კათედრა, რომელიც, საწყისს იღებს 1921 წელს შექმნილი რენტგენოლოგიის კათედრიდან. კათედრას ხელმძღვანელობდნენ: 1921-1933 წლებში - პროფესორი გაბრიელ ღამბარაშვილი, 1933-1938 წლებში - პროფესორი გიორგი ნაზარიშვილი. 1938 წლიდან კათედრა გადაკეთდა კურსად და მის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა პროფესორი ალექსანდრე კვალიაშვილი.

1947 წლიდან კურსი კვლავ რენტგენოლოგიის კათედრად გამოცხადდა და მისი ხელმძღვანელობა კვლავ პროფესორ ალექსანდრე კვალიაშვილს დაევალა.

1955 წელს კათედრა გადაკეთდა რენტგენოლოგიისა და სამედიცინო რადიოლოგიის კათედრად. გამგედ ალექსანდრე კვალიაშვილი იქნა არჩეული.

1972 წელს კათედრის გამგედ აირჩიეს პროფესორი კონსტანტინე გიორგაძე,

1994 წელს - პროფესორი ერმალო ფხაკაძე.

1997 წლიდან კათედრის გამგის მოვალეობას ასრულებდა დოცენტი ალექსანდრე მთვარაძე, რომელიც კათედრის გამგედ აირჩიეს 2002 წელს.

2006 წელს კათედრა გადაკეთდა დეპარტამენტად, შემდეგ მიმართულებად და მის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა პროფესორი ოთარ ურუშაძე.

დეპარტამენტის სამეცნიერო მუშაობის ძირითადი მიმართულებები იყო და არის: საქართველოს კლიმატურ-გეოგრაფიული ფაქტორების გავლენა ძვლოვან სისტემაზე, ფილტვის ექინოკოკის დიაგნოსტიკა, ძვლების გიგანტურუჯრედოვანი სიმსივნეების დიაგნოსტიკა, ბრონქოპნევმონიის რენტგენოდიაგნოსტიკა, ქოლეცისტოგრაფიის საკითხები, რადიაქტიური იოდის გამოყენება ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის შესწავლისა და თირეოტოქსიკოზით დაავადებულთა მკურნალობისთვის, პოლიტრავმის მქონე პაციენტების კვლევის რადიოლოგიური ალგორითმის შემუშავება. ამჟამად რენტგენოლოგიის დეპარტამენტში მიმდინარეობს მუშაობა კუჭ-ნაწლავის სისტემის პათოლოგიების რადიოლოგიური კვლევის მეთოდების სრულყოფაზე და მათ დანერგვაზე კლინიკებში.



რენტგენოლოგიის დეპარტამენტი

დეპარტამენტის მუშაობაში დიდი ყურადღება ეთმობა ინტერვენციული რადიოლოგიის თანემედროვე მიდგომების შესწავლას და მათ დანერგვას კლინიკურ პრაქტიკაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია რადიაციული უსაფრთხოების საკითხებზე ჩატარებული შრომა, რაც ეხება როგორც პაციენტებს ასევე სამედიცინო პერსონალს.

2016 წელს დასრულდა მუშაობა და გამოიცა რადიოლოგიის სახელმძღვანელო სახელწოდებით „სამედიცინო რადიოლოგია“ ნაწილი 1. რომელიც განკუთვნილია მე-3-ე კურსის სტუდენტებისთვის. დასასრულს უახლოვდება მე-6-ე კურსის სტუდენტების სახელმძღვანელოზე მუშაობა სახელწოდებით „სამედიცინო რადიოლოგია“ ნაწილი 2. წიგნების ავტორები არიან: აკადემიური დოქტორი ალექსანდრე მთვარაძე, პროფესორი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ოთარ ურუშაძე და ასოცირებული პროფესორი აკადემიური დოქტორი გრიგოლ ნემსაძე.

პედაგოგიური პერსონალი:

რადიოლოგიის მიმართულების და რენტგენოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფესორი ოთარ ურუშაძე; ასოცირებული პროფესორი გრიგოლ ნემსაძე, ასისტენტ-პროფესორები: რუსუდან ხარაძე და თეიმურაზ გოლეთიანი, მონვეული პედაგოგები: მარია მარტინენკო, ნანა მთვარაძე.